

# გრიგოლ რობაქიძის სახელობის ენოვარისიტეტი

გია ჭირია

რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის  
ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის  
გადაცემასთან დაკავშირებული წარმოების  
კომენტარი საქართველოს სამოქალაქო  
საპროცესო კოდექსის მიხედვით



მრიგოლ რობაქიძის სახელობის ენოვარისიტეტის გამომცემა

თავისი  
2006

ნაშრომი მომზადებულია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

რედაქტორი: **პროფესორი მანანა მოსულიშვილი**

რეცენზენტი: **სამართლის დოქტორი ასოცირებული პროფესორი ასმათ გუგავა**

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
© გია ქირია  
© Grigol Robakidze University  
© Gia Kiria  
ISBN 99940-877-9-7

## რეაქტორისაგან

რეაქტორი ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემა-სთან დაკავშირებული წარმოება სამოქალაქო საპ-როცესო სამართლის ერთ-ერთი სახის წარმოებაა, რომელშიც არატრადიციულადაა გადაწყვეტილი არა მხოლოდ მტკიცების ტვირთი, არამედ სამო-ქალაქო პროცესის სხვა სამართლებრივი ინსტი-ტურები. ნაშრომში გაშუქებულია ამ წარმოების თა-ვისებურებები წარმოების სხვა სახეებთან მიმარ-თებაში.

წინამდებარე კვლევა, ქართულ სინამდვილეში, არის ცდა იმისა, რომ მეცნიერულად, შედარებით - სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე დამუშა-ვდეს აღნიშნული წარმოების ყველა ის საკითხი, რაც მოცემულია საქართველოს სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის XIV<sup>1</sup> თავში.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ისეთი საკი-თხები, როგორიცაა: რეაქტის, რეაქტული დაჯგუ-ფებების, რეაქტირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავისა და მასთან დაკავშირებული პირისა და რეაქტული ქონების განმარტება; ქონების ცნობა რეაქტულად ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობა და იურიდიული შედეგები; ქონების დაყადალება და ამ

ქატეგორიის საქმეებზე სარჩელის აღძვრისა და  
დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების პრობლემატიკა.

ნაშრომი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ კვლევა  
შესრულებულია შეფარებით – სამართლებრივი ან-  
ალიზის საფუძველზე – ამერიკის შეერთებული  
შტატებისა და იტალიის მაგალითზე.

ავტორის მიერ ჩატარებულ კვლევას აქვს როგორც  
თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. იგი  
უდავოდ წაადგება როგორც პრაქტიკოს მუშაქებს,  
ისე იურიდიული ფაქულტეტის სტუდენტებს, სამე-  
ცნიერო დარგის წარმომადგენლებ და ამ საკით-  
ხით დაინტერესებულ სხვა პირებს.

რეაგული ან ქარდული სამყაროს წავრის  
ქონების ჩამორთხვისა და სახალმისივოსათვის  
გადაცემისთან დაკავშირებული რაოდობის  
აომების საქართველოს სამოქალაქო  
საპროცესო აოდეპსის მიხედვით

XX საუკუნის ბოლოს საქართველოში თავი იჩინა კორუფციამ. მან მოიცვა კორუფციის სფეროები, როგორიცაა: განათლება, პოლიტიკა, ეკონომიკა, ხელოვნება და სხვა. თან დაერთო მკლელობები, ადამიანთა გატაცებები, ნარკოტიკებით ვაჭრობა და სხვა. ყოველივე ამან კი მიგვიყვანა იქამდე, რომ მოხდა საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ წამყვანი სფეროების არა თუ განვითარება, არამედ უკან სვლარეგრესი. საქართველოს სამართლებრივ სისტემაში უკანონო შემოსავლების კონფისკაციის ინსტიტუტების არქონამ და დამკვიდრებულმა დაუსჯელობის სინდიკომმა ხელსაყრელი გარემო შექმნა კორუფციის აუვავებისა და ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებისა თუ ცალკეული ჰიროვნების არაკანონიერი ქმედებების აღზვევებისათვის.

ზემოაღნიშნული საქმიანობისათვის პასუხს არავინ აგებდა, რაც გამოწვეული იყო სათანადო ნორმატიული აქტების არარსებობით. ბოლო წლებში საქართველო მიუერთდა მრავალ საერთაშორისო კონვენციას: "ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია"; "ევროსაბჭოს კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოლებისა და კონფისკაციის შესახებ"

(სტრასბურგი 1990); ევროსაბჭოს კონვენცია "სისხლის სამართლის კორუფციის შესახებ" (სტრასბურგი 1999); ევროსაბჭოს კონვენცია "სამოქალაქო სამართლის კორუფციის შესახებ" (სტრასბურგი 1999); გაეროს კონვენცია "ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ" (პალერმო 2000); "გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ" (ვენა 2002) და სხვა. საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია აღნიშნული საერთაშორისო აქტების ნაწილი. ქართული საზოგადოების არასაკმარისს აქტიურობასა და პოლიტიკური ნების გარჩვეულ დეფიციტზე მეტყველებს კონფიდენციალური თუ სხვა ანტიკორუფციული ინსტიტუტების ართამჯვიდრება ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

ვითარება გართულდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაც, რომლის მიხედვით კონფიდენციალური ინსტიტუტი არაკონსტიტუცირად გამოცხადდა და შესაბამისად იურიდიული ჰასეხისმგებლობის ნორმის ეს სახე საქართველოს კანონმდებლობიდან გაქრა. თუმცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (მუხლი 52) უშვებს ე.რ სპეციალურ კონფიდენციას, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დანაშაულის საგნისა და იარაღის ჩამორთმევას. ამდენად, შექმნილი ვითარება მოითხოვს კონფიდენციის ინსტიტუტის კანონმდებლობის მიერ ახლებურ გააზრებასა და კანონმდებლობაში სათანადოდ ასახვას. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საკუთრებისა და მემკვი-ლორეობის უფლება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებულია: "აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირობებით დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგა-

ნული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

სწორედ ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარების, ასევე ანტიკორუფციული და ანტირეკეტული საკანონმდებლო ბაზის შექმნის მიზნით 2004 წლის 24 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "ორგანიზებული დანაშაულის და რეკეტის შესახებ" რითაც რამდენიმე საკანონმდებლო აქტი ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი. ცვლილებები შეეხო ისეთ საკანონმდებლო აქტებს, როგორიცაა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, აღმინისტრაციული სამართლის და ჩვენთვის საინტერისო სამოქალაქო საპროცესო კოდექსებს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები შეიცავს ისეთ ნორმებს, რომლებიც არეგულირებენ თანამდებობის და მათთან დააბლოებულ პირთათვის, ასევე რეკეტის შედეგად შეძენილი ქონების და რეკეტირის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის პროცესურებს.

ზემოთ აღნიშნული კანონის წყაროებია: რიკოს კანონი და იტალიის გამოცდილება, რის საფუძველზეც შეიქმნა ანტიკორუფციული და ანტიმაფიური კანონმდებლობა, რომელიც ეხება ქონების კონფისიაციის საყითხებს; საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და ა.შ

რაც შეეხება რიკოს კანონს ეს არის აშშ-ს კონგრესის მიერ მიღებული სამართლებრივი ნორმატიული აქტი, რომელიც წარმოადგენს იმ პირთა უფლებების დაცვის საშუალებათა ერთობლიობას, რომელთაც მიადგა ფინანსური ზარალი სხვა პირთა არაკანონიერი ქმედებებით. ამ აქტის საფუ-

ძველზე მათ უფლება აქვთ აღძრიან სარჩელი, როგორც შტატის ასევე ფედერალურ სასამართლოში.

თავის მხრივ რიყოს კანონი აშშ-ს კონგრესის მიერ მიღებულ იქნა 1970 წელს, მაგრამ, რა თქმა უნდა, იგი ძალაში არ შესულა. მას დასჭირდა რამდენიმე წელი იუსტიციის დეპარტამენტისაგან და საბოლოოდ ის ამოქმედდა 1980 წელს. რიყოს კანონის მე-8 თავში, კერძოდ 1961-ე მუხლში მოცემულია ტერმინთა განმარტება, სადაც რეკეფული საქმიანობის ცნება საჯამოდ ფართოდ არის განსაზღვრული, კერძოდ ნებისმიერი მოქმედება ან მუქარა მოქალაქისადმი მუვლელობის, ადამიანის გატაცების, გემბლოლინგის (აზარტული თამაბების), ხანძრის გაჩენის, ძარცვის, მექრთამეობის, გამოძლივის ჩათვლით, ასევე ნარკოტიკებით ან ნარკოტიკული თვისებების მქონე შემცველი სხვა ნივთიერებებით ვაჭრობა, რომელიც საშიშია ჯამრთელობისათვის და რომლისთვისაც ფედერალური კანონით სანქციის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით არა უმეტეს 1 წლისა.

გარდა ამისა, რიყოს აქტი შეიცავს იმ ფედერალურ დანაშაულებათა ჩამონათვალს, რომელიც განისაზღვრება, როგორც "რეკეტიონობა";

- ჰობისის კანონის დარღვევა;
- მექრთამეობა, მექრთამეობა სპორტთან დაკავშირებით;
- ფულის გაყალება ან ფულის გათეთრება;
- ჰომოსაქსიტურების ფონდების გახარჯვა;
- საფოსტო თაღლითობა;
- სატელეფონო თაღლითობა;

- სასამართლოში მართლმსაჯულებისათვის ხელ-ისშემშლელი (შტატის და ფედერაციის დონეზე);
- სიგარეტის კონტრაბანდა;
- მანას კანონის დარღვევა ე.ი თეთრქანიანი მო-ნებით ვაჭრობა;
- თარლითური გაყოტრება;
- ნარქოტიკების შესახებ კანონმდებლობის დარ-ღვევა;
- პორნოგრაფია.

აღსანიშნავია ისიც, რომ დამოუკიდებელ დანაშა-ულად ითვლება არა მარტო რეესტრული საქმია-ნობის განხორციელება, არამედ რეესტრული დაჯუ-ფების, ორგანიზაციის წევრობაც კი, მაგ: ამა თუ იმ "ოჯახში" გაერთიანება.

რიყოს კანონის სისხლის სამართლებრივ სასჯე-ლებთან ერთად მოცემულია სამოქალაქო სამართ-ლებრივი ნორმები ქონების კონფისკაციის შესახებ, რაც მოითხოვს იმ ქონების კონფისკაციას, რომე-ლიც მოპოვებულია რიყოს აქტის დარღვევით. ეს აქტი ასევე შეიცავს ნორმებს, რომლის საფუძვე-ლზეც მოქალაქეებს უფლება აქვთ აღძრან სარჩელი სასამართლოში მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით ნებისმიერი ფიზიკური ან იური-დიული პირისადმი, რომელთა ქონებას მიადგა რიყოს კანონის 1962-ე მუხლით გათვალისწინე-ბული ზიანი. მათ უფლება აქვთ შესაბამისი იური-სტიტუტის ფედერალურ სასამართლოში აღძრან სარჩელი მათთვის მიყენებული ზიანის სამმაგალ ანაზღაურების მოთხოვნით, ადვოკატისათვის გონ-ივრული პონორარის გაცემის ჩათვლით.

რიყოს კანონის წინააღმდეგ გამოცის ოთხი ძირითადი კრიტიკული შენიშვნა:

1. **შეიძლება** ჰირი მართლაც ჩადიოდეს რამე ქმედებას, მაგრამ რიყოს კანონით გათვალისწინებული ქმედებისაგან საკმაოდ ძორს იყოს, თუმცა მაინც ამ აქტით რეგულირდებოდეს.
2. რიყოს კანონის გამოყენებამ შეიძლება მივიყვანოს აქტივების გაყინვამდე, მანამ, სანამ დაინება სასამართლოს განხილვა. ასეთი სახის აქტივების გამო ხშირად ყომპანიები წყვეტენ თავიანთ საქმიანობას. აქტივების გაყინვის შესახებ არსებულმა მუქარამ შეიძლება აიტელოს ყომპანია, რომ ალიაროს დანაშაული, თუნდაც რომ ეს არ შეესაბამებოდეს სიმართლეს.
3. რიყოს კანონზე დაყრდნობით, ბრალდება სასამართლოს წინაშე, ბრალდებულს რეეგირის იარლიყს აკრავს, რაც მოცემულ გარემოებებში წარმოადგენს სასამართლო განხილვის საგანს, თუმცა შესაძლებებლია, რომ ეს რეალური არ იყოს.
4. რიყოს კანონი უშვებს სარჩელის აღძრას სასამართლოში მიუენებული ზიანის სამმაგალ ანაზღაურების მოთხოვნით, აյ იგულისხმება ასევე ჩვეულებრივი საქმიანი ოპერაციებიც.

სწორედ რომ წვრილმანი სახის სამართალდარღვევები ხვდებიან რიყოს აქტის რეგულირების ქვეშ, რაც მოწინააღმდეგეთა აზრით არასამართლიანია.

რიყოს კანონის მომხრეები თავის მხრივ ამტკიცებენ რომ ეს კანონი არის ეფუქტური საშუალება მსხვილი დანაშაულებრივი კორპორაციების გამოსამყოფავნებლად.

1986 წლიდან დაახლოებით 1000-მდე სამოქალაქო სარჩელი აღიძრა სასამართლოში რეკეტიონი-ბით მიუენე-ბული ზიანის სამმაგად ანაზღაურების მოთხოვნით, ამ სარჩელითა მოპასუხები იყვნენ სხვადასხვა ბიზნეს კონჯურენტები; თაღლითები; ფასიანი ქალალდების ოპერაციებით დასავებული ბროკერები; პროფესიული სასამართლოები ყოვე-ლნლიურად დაახლოებით 1000-მდე სამოქალაქო სარჩელს იღებენ). ასეთი მსგავსი სამოქალაქო საქმეები სასამართლოში იმდენად ბევრია რომ პრაქტიკოსმა იურისტებმა გამოსცეს საკუთარი ბიუ-ლეტენი “ლიცო ან ლეპორტერ” (რიკოს კანონის საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვე-ტილებათა კრებული). 1996 წელს ტეხასის შტატმა რიკოს კანონის საფუძველზე სარჩელი აღძრა თამბაქოს მწარმოებელი კორპორაციის ნინაალ-მდეგ და მოითხოვა მისგან თანხა 4 მილიარდი ლოდარი, რომელიც უნდა დახარჯულიყო იმ დაა-ვადებულ პირთა მეურნალობისათვის, რომელთა დავადებაც გამოწვეული იყო თამბაქოს მოხმა-რებით, თუმცა როგორც პრაქტიკამ აჩვენა, სასა-მართლო დავის მოგება კერძო პირის სარჩელის საფუძველზე საკუთარი როგორია.

რიკოს კანონის ავტორი რობერტ ბლექი ამტკიცებს, რომ ამ სტატუსის სამოქალაქო სამართლებრივი მუხლები იძლევა დიდ შესაძლებლობას დაზარა-ლებულისათვის დარღვეული უფლების აღდგე-ნისათვის და ამასთანავე ხელს უშლის მსგავსი სახის დანაშაულის ჩადენას.

იმისათვის, რომ დაუმსახურებელი “რეკეტიონი-ობის” იარ-ლიუის პრობლემა მოიხსნას აუცილე-ბებლია ტერმინი “რე-კეტიონი” ამოვილოთ იმ ნორ-მებიდან, სადაც საუბარია სამოქალაქო სამართლე-

ბრივ პასუხისმგებლობაზე, გვთავაზობენ რიკოს კრედიტორები<sup>1</sup>.

აშკარა მოწოდებილან გამომდინარე სახელმწიფო მივიღა იმ დასკვნამდე, რომ კონფისკაცია არის საჭმაოდ მიმზიდველი ინსტიტუტი. 1972 წელს ჰავაიში მიღებული იქნა რიკოს სამოქალაქო სამართლის კანონი, რომელშიც შედის ნორმები ქონების ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ. 1989 წელს ანალოგიური კანონმდებლობა იქნა მიღებული 25 შტატში. სწირედ ამ დროს რამდენიმე ამერიკული გამოცემა გახდა მიზეზი კონფისკაციის მიმართ დიდი ინტერესისა, მაგ: გენერალურმა ეროვნულმა ასოციაციამ დაიწყო ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის გამოშვება, რომელიც ეხებოდა რიკოს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების გამოყენებას; ასევე პოლიციის საგამძიებო ფორუმის ბიულეტენის აქტივების გაყინვისა და კონფისკაციის შესახებ და ა.შ.

რიკოს კანონის სტატუსი ითხოვს, რომ ამოღებული და კონფის კირებული ქონების რეალიზაციის შედეგად მიღებული ნაღდი ფული დახარჯულ იქნას ნარკომანიასთან წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც თავის მხრივ გულისხმობს ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილის გადა ცემას სამართალდამცავი და სამართალმნარმოებული ორგანოებისა თვის.

რიკოს კანონში შესული სამოქალაქო პროცესუალური ნორმები შეიცავს “ნარკოტიკების ბორიტად გამოყენებაზე გაფრთხილებისა და კონტროლის შესახებ” კანონის 881-ე მუხლს. 1978 და 1984 წლის ცვლილებებით გაფართოებულ იქნა ამ მუხლის მოქმედების წრე. დოკუმენტი ამ მუხ-

<sup>1</sup> Wildam and Gilbert 1989

ლით დაშვებულია ყველა იმ მოგების კონფისკაცია, რომელიც მიღებულია ნარკოვაჭრობით. ეს მუხლი იძლევა მთელი იმ უძრავი ქონების კონფისკაციის საშუალებას, რომელიც აღრე გამოყენებული იყო ნარკოტიკების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის, მაგ: მიწა; შენობანაგებობები; ნაღლი ფული; ავტომობილები და ა.შ. ეს ყველაფური ექვემდებარება კონფისკაციას.

ბრალდების საფეხველზე სასამართლოს შეუძლია ამოიღოს დამნაშავისაგან “სუფთა” აქტივები მისი “ჭუჭყიანი” ქონებიდან, რომელზეც ვრცელდება კონფისკაცია. ქონების მფლობელს უფლება აქვს გაასაჩივროს ამოლება მას შემდეგ, რაც მოხდება კონფისკაცია. მან უნდა დაამტკიცოს, რომ კონფისკირებული ფული ან ქონება მიღებული იყო ლეგ-ლური გზით. 1993 წელს უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალმდებელს უფლება არა აქვს ამოიღოს უძრავი ქონება მისი მფლობელის შეუტყობინებლად ე.ი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. ეს გადაწყვეტილება ვრცელდება მხოლოდ უძრავ ქონებაზე და არა ისეთ საგნებზე, რომელთა ტარებაც თან შეიძლება.

სამოქალაქო საპროცესო წესით კონფისკაცია წარმოებს ინ რემ, განსხვავებით სისხლის სამართლებრივი წარმოებისაგან, რომელიც ინ პერსონამ მოქმედებს. ასეთი სახის აქცია მიმართუია ქონების წინააღმდეგ და არა პიროვნების, ამოტონ სისხლის სამართლებრივი გამართლება არ წარმოადგენს სამოქალაქო წესით კონფისკაციისათვის დაბრკოლებას. 1996 წელს უმაღლესმა სასამართლომ (რსერყ აშშ-ს წინააღმდეგ) დაადგინა, რომ სისხლის სამართლებრივი დევნა და სამოქალაქო სამართლებრივი კონფისკაცია ერთი და იმავე საქმეზე არ არღვევს კონსტიტუციურ პრი-

ნციპს, რომლის მიხედვითაც პირმა ჩადენილ დანაშაულზე პასუხი ერთხელ უნდა აღოს.

თუ სადავოა ქონების კონფისკაცია, მაშინ ბრალდების უარყოფისა და მტკიცების ტვირთი გადაცის ბრალდებულზე, რომელიც ვალდებულია ამტკიცოს, რომ მისი ქონება არ ექვემდებარება კონფისკაციას, ვინაიდან ქო-ნება მიღებულია ლეგალური გზით. მტკიცების ტვირთის ბრალდებულზე დაკისრება პრაქტიკულად აუქმებს მის უფლებას შეიტანოს სარჩელი კონფისკირებული ქონების დაბრუნებაზე.

1993 წელ აშშ-ს უმაღლესმა სასამართლომ ერთხმად დაადგინა, რომ მერვე შესწორების შესაბამისად აუცილებლად უნდა იყოს დაცული პრინციპულობა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და ამოსალები ქონების ღირებულებას შორის.

რაც შეეხება იტალიას, იქ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მათია აკონტროლებდა სახელმწიფო მმართველობის უკლებლივ ყველა სფეროს და უშეალო გავლენას ახდენდა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე. იტალიური საზოგადოების პროტესტმა, რომელიც “სუფთა ხელებით” არის ცნობილი, შესძლო სამართლებრივი მექანიზმების ეფექტურად ამოქმედება და მათის დაჯგუფებების მნიშვნელოვანი შეზღუდვა. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონფისკაციას ე.ი ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტის არსებობას, რომლის მეშვეობითაც ყველაზე მძიმე დარტყმა იგემა მათიამ, კორუფციაში ჩართულმა სახელმწიფო მოხელეებმა და საერთოდ ორგანიზებულმა დანაშაულმა.

იტალიაში ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, XIV საუკუნეში ქალა-

ქსახელმწიფო ვენეციაში ეს ინსტიტუტი წარმატებულად ფუნქციონირებდა. ქალაქის ყანონი ითვალისწინებდა მკვლელობის, ქურილობისა და სხვა დანაშაულის ჩამდენის მთელი პირალი უძრავ-მოძრავი ქონების ავტომატურად ჩამორთმევას. სასჯელის ეს ფორმა კიდევ უფრო გამკაცრილა XVII საუკუნისათვის ქონების ჩამორთმევა ვრცელდებოდა დამნაშავის ნათესავებზეც, რათა მათი ქონება მემკიდრეობით არ გადაცემოდა დამნაშავეს, XIX საუკუნეში თანდათან მკვიდრდება ინდივიდის "იუს ნატურალის" ლირებულებები. იგულისხმება საკუთრების უფლების ახლებური გააზრება; შედეგად უქმდება ყველა კანონი, რომელიც ხელყოფს საკუთრებას. ამის შემდეგ საკუთრების უფლების დაცვის მოტივით დამნაშავის ქონება, ნაცვლად ჩამორთმევისა მემკვიდრეობით გადაეცემა მის ნათესავებს.

იტალიაში სახელმწიფოებრიობის წარმოშობასა და განვითარებას მუდმივად თან სდევს მაფიის, როგორც ორგანიზებული დანაშაულის აჩრდილი. XX –ის 80-იანი წლებისათვის სახელმწიფო კონტრაქტები ხდება მაფიის, მერარმეობისა და პოლიტიკის გზისშესაყარი, რაც ერთგვარ სამმხრივ შეთანხმებას ქმნის ამ სფეროებს შორის. ამგვარი სიმბიოზი ხელსაყრელ ფინანსურ გარემოს აყალიბებს სახელმწიფოს პოლიტიკური კორეფორმის აყვავებისათვის. იტალიელი იურისტების შეფასებით მაფიისათვის დამახასიათებებილა ორსახოვნება:

1. ის, რომ მაფია არ მოქმედებს სახელმწიფო-საგან-დამოუკიდებლად და მის წინააღმდეგ.
2. რეალურად კი თანამედროვე მაფია ჩართულია სახელმწიფო სახსრების განკარვვასა და საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესებში.

იტალიის ანტიკორუფციული პოლიტიკის სამართლებრივი საფუძველი დევს იტალიის რესპუბლიკის 1947 წლის კონსტიტუციის 97-ე მუხლში, რომელიც გულისხმობს კანონის აღსრულებასა და მიუკერძობლობას. მისი უზრუნველყოფა უპირველეს ყოვლისა ეკისრება სახელმწიფო მოხელეებს, სახელმწიფო მართველობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელთა ძირითად კორპუსს მოიცავს სისხლის სამართლის კოდექსი.

მიუხედავად საერთაშორისი სამართლებრივ სივრცეში იტალიის მჭიდრო ინტეგრირებულობისა, რასაც მოწმობს საერთაშორისო აქტების ასახვა ეროვნულ კანონმდებლობაში, სისხლის სამართლის კოდექსი საკმაოდ დიდხანს არ ითვალისწინებდა კონფისკაციის გამოყენებას სამოხელეო დანაშაულისათვის.

2000 წლის 29 სექტემბრის №300 კანონის საფუძველზე კი იტალიის კონფისკაცია სისხლის სამართლის კოდექსის 314-320 და 322-ე მუხლებით დადგენილი დანაშაულის შემდეგი სახეებისთვის: ქრისტიანის აღება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების ან შეუსრულებლობისათვის; ქრისტიანის აღება უკანონო სასამართლო ქმედებებისათვის და ქრისტიანის აღება საჯარო მოხელის მიერ.

იტალიის სისხლის სამართლის კოდექსი საჯარო მოხელის ცნებას შემდეგნაირად განმარტავს; პირი, რომელიც ახორციელებს საჯარო ფუნქციებს საკანონმდებლო, სასამართლო და აღმინისტრაციულ სფეროში. აღმინისტრაციულ ფუნქციად მიჩნეულია საჯარო ფუნქცია, თუ ამას აღგენს საჯარო უფლებამოსილებათა გადაცემის საშუალებით.

იტალიაში ძირითად ანტიმაფიურ საქანონმდებლო აქტად მიიჩნევა 1965 წლის 31 მაისის 3575 კანონი მაფიის წინააღმდეგ, რომელმაც შემდგომ განიცადა არსებითი ცვლილებები. კანონი შეეხება მაფიოზური დაჯგუფებების, ორგანიზებული დანაშაულის წევრობაში ეჭვმიტანილ პირებს, რომლებიც ასეთი დაჯგუფებების ინტერესებისათვის იღწვიან და შესაბამისი მეთოდებითვე მოქმედებენ. კანონი მიზნად ისახავს მაფიის წევრთა თავისუფლების შეზღუდვას და რაც მთავარია ემუქრება მაფიის ფინანსურ კეთილდღეობას. ხსენებული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, მოსამართლე იღებს გადაწყვეტილებას იმ პირთათვის ქონების ჩამორთმევის შესახებ, რომლის მიმართაც დაწყებულია სისხლის სამართლის საქმის წარმოება თუյი: მისი ქონების ღირებულება არ შეესაბამება პირის მიერ ოფიციალურად გაცხადებულ შემოსავლებს; მის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ საქმიანობას; გარკვეულ საფუძველზე ქონება მიიჩნევა დანაშაულებრივი საქმიანობით მოპოვებულად; მისი დანიშნულებაა დანაშაულებრივი საქმიანობისათვის გამოყენება.

კანონი ქონების ცნებაში აერთიანებს უძრავ და მოძრავ ქონებას, მათ შორის ფასიან ქაღალდებს. რესპუბლიკის პროკურორის ან ქვესტორის (პოლიციის კომისარი იტალიაში) მოთხოვნის საფუძველზე ტრიბუნალი იღებს კონფისკაციას, თუ არ დადასტურდა მისი კანონიერი წარმომავლობა. ქონების გადაწყვეტილების მიღებამდე მი-სი წარმომავლობის უკანონობას ამტკიცებს რესპუბლიკის პროკურორი ან ქვესტორი. ამგვარად, საქმე გვაქვს მტკიცების ტვირთის შერჩევლ სახესთან.

ჩამორთმეული ქონების მართვისათვის დანიშნული აღმინისტრობრივის მოვალეობას შეადგენს სეკვე-

სტრიქებული ქონების დაცვა, შენახვა და აღმინისტრირების, ასევე შესაძლებლობის შემთხვევაში ქონების გაზრდა. ყოველივე ეს ხორციელდება მოსამართლის უშუალო ზედამხელველობით. მკაფრადაა განსაზღვრული აღმინისტრის საქმიანობის რეგლამენტი, რათა თავიღანი იქნას აცილებული ჩამორთმეული ქონების განკარგვა მისი უწინდელი მთლიანების მიერ. აღმინისტრისა და უკრძალება მთელი რიგი ქმედებების განხორციელება, ყერძოდ: მოსამართლის წინასწარი ნებართვის გარეშე სესხის აღება; გარიგებების დადგება; საარბიტრაჟო შეთანხმება; თავდებობა; ქონების იპოთეკით დატვირთვა; სასამართლო პროცესზე მხარედ გამოსვლა. 1965 წლის №575 კანონის მე-2 სეპტემბერის მუხლის თანახმად, ჩამორთმეული ქონების აღმინისტრირებისა და შენახვის საჭირო ან აუცილებელ ხარჯებს ანაზღაურებს აღმინისტრატორი საამისოდ გამოყოფილი თანხებითან. თუ არ მოიპოვება სეკვესტრული ქონების სამართავად საკმარისი თანხა, მაშინ ამ ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო, ხოლო სეკვესტრის გაუქმების შემთხვევაში ქონების მართვისა და დაცვისათვის გალებული ხარჯები სახელმწიფოს არ აუნაზღაურდება. ქონების კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აღმინისტრისა და მისი მომსახურების, აგრეთვე, მის მიერ დამხმარე პირებზე გაცემული ხარჯები ანაზღაურდება ჩამორთმეული ქონების აღმინისტრირების ანგარიშითან. თუ ანგარიშზე არსებული თანხები ვერ ფარავს ზემოთხსენებულ ხარჯებს, მათ ნაწილობრივ ან მთლიანად ანაზღაურებს სახელმწიფო უკუანაზღაურების უფლების გარეშე. სეკვესტრის გაუქმების შემთხვევაში ზემოთხსენებულ ხარჯებს მთლიანად გაიღებს სახელმწიფო.

1996 წლის 7 მარტის №109 კანონი იტალიური არასამთავრობო ორგანიზაციების “ლიბერა”-ს, “არჩი”-სა და “ავიზო პიბლიკი”-ს ფანანლის შეცემისა. იგი ძირითადად წარმოადგენს 1965 წლის 31 მაისის კანონის შესწორებებს. მან კონფისკაციას სავსებით რეალური და კეთილშობილური დანიშნულება შესძინა. კერძოდ, ცვლილება აყალიბებს რაციონალურ მექანიზმს კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების შემდგომი განკარგვისათვის. ამგვარი ქონების მართვისას შემოსული ფულადი სახსრები აკუმულირდება პრეცექტურასთან არსებულ ფონდში, რათა შემდგომ შესაძლებლობის ფარგლებში ჩამორთმეული უძრავი ქონება გაიცეს ინსტიტუციონალური, სოციალური, და საჯარო ინტერესების განსახორციელებლად, ადმინისტრატორების პროექტების თუნდაც ნაწილობრივ დასაფინანსებლად. ასევე, შემდეგი სპეციფიკური საქმიანობისათვის, როგორიცაა დაზიანებული საცხოვრებელი რაიონების აღდგენა; სიღარიბის აღმოფხვრა; სკოლებში მართლწესრიგის შემსრულებლი კურსების დანერგვა; ახალგაზრდა უმუშევართა შორის სამეწარმეო კულტურისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, აგრეთვე ეს თანხები და უძრავი ქონება ემსახურება ნარკომანიასთან ბრძოლას, ნარკომანთა მეურნალობასა და მათ რეაბილიტაციას, რისთვისაც თანხა გაიცემა სხვადასხვა სოციალური ფუნქციის მქონე იურიდიულ პირებს, თუ ისინი აკმაყოფილებენ გარკვეულ პირობებს. ამდენად, კანონი საზოგადოებისათვის უსამართლოდ წართმეულ ამა თუ იმ სიკეთეს საზოგადოებასვე უბრუნებს. ამით ის, რა თქმა უნდა მნიშვნელოვნაც აფერხებს სახელმწიფოში კრიმინურადიციის დამკვიდრებას.

ზემოხსენებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ “ლიბერა”-მ 2001 წლის ოქტომბერში დააფუძნა

ჩამორთმეული ქონების ეკონომიკური განვითარების მიზნით რეუტილიზაციის მნიშვნელოვანი გამოცდილება. აღნიშნული სამსახური წარმოადგენს ინფორმაციის წყაროს ჩამორთმეული ქონების მართვისა და გამოყენების საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის. იგი ასევე მართავს დისკუსიებს 1996 წლის 7 მარტის №109 კანონის ეფექტურობის შესახებ, რომლითაც სულ რატაც ოთხ წელიწადში მოხერხდება 855000 ევროს ლირებულების 586 ერთეული უძრავი ქონების საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად გამოყენება და ეს მაშინ, როცა სეკვესტრირებული ქონების მხოლოდ 3-20%-მდე ექვემდებარება კონფისკაციას.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული იტალიის სამართლებრივი პოლიტიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები, შეიძლება ითქვას, სამაგალითოა ორგანიზებულ დანაშაულობათა წინააღმდეგ ეფექტური ლონისძიებების შემუშავებისა და მათი წარმატებით განხორციელების თვალსაზრისით. უნდა აღინიშნოს, იტალიაში ორგანიზებულ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა ატარებს სისტემატურ და მუდმივ ხასიათს, რაც ვლინდება ამ საჭიროებაზე დაკავშირებული ახალი კანონების მიღებასა და მათ შემდგომ აღსრულებაში.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის 1 ოქმში მოცემულ 1 მუხლს, იქ აღნიშნულია: “ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს დაუბრუოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით. არავის არ შეიძლება ჩამოერთვას ქონება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს და იმ პირობების დაცვით, რომლებიც გათვა-

ლისწინებულია კანონით და საერთაშორისო  
სამართლის ზოგადი პრინციპებით.

ამასთან, ზემოხსენებული დებულებები არავითარ  
შემთხვევაში არ ზღუდავს სახელმწიფოს უფლებას  
მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც მას მიაჩნია  
აუცილებლად ქონების გამოყენებაზე კონტროლის  
განხორციელების ათვის საერთო ინტერესების  
შესაბამისად ან გადასახადების გადახდის და სხვა  
შესატანების და ჯარიმების გადახდის უზრუნველ-  
საყოფად.”

ეს მუხლი უზრუნველყოფს ქონებით დაუბრუ-  
ლებლად სარგებლობის უფლებას, რომელსაც, ზო-  
გადად, შეიძლება ვუწოდოთ საკუთრების უფლება.  
უკანვენციით უზრუნველყოფილი სხვა არსებითი  
მუხლების მსგავსად სახელმწიფოს შეუძლია შეზღუ-  
დოს ქონებით სარგებლობის უფლების განხო-  
რციელება. არ შეუძლია პიროვნებას ჩამოართვას  
ქონება “საზოგადოებრივ ინტერესებში და სამართ-  
ლით გათვალისწინებული პირობების დაცვით”. მას  
შეუძლია აამოქმედოს ისეთი კანონები, რომლებიც  
აუცილებელია ქონებით სარგებლობაზე კონტრო-  
ლის განხორციელები სათვის საერთო ინტერესე-  
ბილან გამომდინარე, ან იმ მიზნით, რომ უზრუნვე-  
ლყოს სხვადასხვა გადასახადების და მოსაკრე-  
ბლების ამოღება. ამდენად, ამ მუხლის შესაბამისად,  
სახელმწიფოს გააჩნია თავისუფალი მოქმედების  
ფართო არეალი.

ფრიაზის “დაუბრულებლად სარგებლობა” ახსნა-  
განმარტებისას კომისია, ისევე როგორც სასამა-  
რთლო, ხშირად განასხვავებენ ერთმანეთისაგან  
ქონების ჩამორთმევასა და მის გამოყენებაზე კო-  
ნტროლის დაწესებას. საქმეთა განხილვის დროს  
ევროპის სასამართლო მოითხოვს სათანადო

წონასწორობის დაცვას საზოგადოების იტერესებსა და პიროვნების ფუნდამენტურ უფლებებს შორის და აღნიშნავს, რომ ქონების ჩამორთმევის, მისი სარგებლობაზე შეზღუდვების დაწესებისა და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში სამართლიანობა მოითხოვს, შესაბამის დაზარალებულ ფიზიკურ პირებს მიეცეთ უფლება გაასაჩივრონ ხელისუფლების გადაწყვეტილებები ქონების ჩამორთმევის, ან მისი სარგებლობაზე ყონქროლის დაწესების შესახებ ან კომპენსაციის თაობაზე.

კონვენციის 1 ოქმის 1 მუხლის მოთხოვნები უზრუნველყოფენ “სამართლიან ბალანსს” საზოგადოების იტერესებს და კერძო პირთა უფლებებს შორის, ამასთან ზომები, რომლებითაც “საზოგადოებრივ იტერესებში” ხდება საკუთრების ჩამორთმევა, უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზნებს, მათი გამოყენებისას დაცული უნდა იქნას გონივრული შესაბამისობა მიზანსა და საშუალებებს შორის.

საზოგადოებრივი აუცილებლობის არსებობა თავად საზოგადოების მიერ დგინდება იმ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია საკუთრების უფლების შეზღუდვა, თუმცა უნდა არსებოდეს “გონივრული საფუძველი” და დაცულ იქნეს პროპორციულობა სახელმწიფო და კერძო ინტერესებს შორის.

კონპის სასამართლოს განცხადებით: “საზოგადოებრივი ინტერესებისცნებას ძალზეც ფართო ხასიათი აქვს. სასამართლო აღიარებს რა, რომ კანონმდებლობისათვის დატოვებული თავისუფალი მოქმედების არე სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას ფართო უნდა იყოს,

ჰატივს სცემს კანონმდებლობის გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რა შედის “საზოგადოებრივინტერესებში” - იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებას აქვს აშეარაც გონივრული დასაბუთება”.

ქონების ჩამორთმევა, განხორციელებული ლეგიტიმური სოციალური, ეკონომიკური ან სხვა პოლიტიკის შესაბამისად, შეიძლება პასუხობდეს “საზოგადოებრივი ინტერესებს” იმ შემთხვევაშიც კი, თუ საზოგადოება პირდაპირ არ იყენებს ჩამორთმეულ ქონებას.

1 ოქმის 1 მუხლის არსებული რეფაქციითან და მთელი პრაქტიკის მანძილზე კომისიის და სასამართლოს ახსნა-განმარტებითან ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფოს თავისუფალი მოქმედების ბევრად უფრო ფართო არე გააჩნია “საზოგადოებრივი ინტერესების” კრიტერიუმებთან მიმართებაში, კონვენციის სხვა მუხლებში მოცემულ “აუცილებელ დემოკრატიულ სახელმწიფოში” სტანდარტთან მიმართებაში.

მას შემდეგ რაც, ზოგადად განვიხილეთ რეკეტული ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საკითხები, გვინდა უმუალოდ მუხლობრივად გავაანალიზოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავი XIV<sup>1</sup>, რომელიც შეეხება რეკეტული ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებულ წარმოებას.

აღნიშნული თავი შესდგება ექვსი მუხლისაგან:

## მუხლი 356<sup>1</sup>. ტერმინტა განმარტება

ამ თავის მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი  
მნიშვნელობა:

- ა) რეეგი - შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი  
სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით  
ნარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზე-  
ბული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია  
განზრახი დანაშაულის ჩატენასთან (თუ ნასამა-  
რთლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხს-  
ნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც  
ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რო-  
მელშიც არ შედის რეეგირის დაპატიმრებისა  
და სასჯელის მოხდის ვადა;
- ბ) რეეგიული დაჯუფება - თავისი საქმიანობით  
რეეგითან დაკავშირებული იურიდიული პირი,  
აგრეთვე ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირთა  
ნებისმიერი გაერთიანება;
- გ) რეეგირი - პირი, რომელიც დამოუკიდებლად  
ან სხვა პირთან (პირებთან) ერთად ნარმართავს  
რეეგილი დაჯუფების საქმიანობას, ან სხვაგვა-  
რად მონაწილეობს რეეგილი დაჯუფების საქ-  
მიანობაში და მისთვის ცნობილია რომ ეს  
დაჯუფება რეეგიული დაჯუფებაა, აგრეთვე  
უკანონოდ წყვეტს ან მონაწილეობს რეეგიულ  
დაჯუფებათა ან რეეგიულ დაჯუფებასა და სხვა  
პირთა შორის დავების გადაწყვეტაში;
- დ) ოჯახის წევრი - რეეგირის ან ქურდული სამყა-  
როს წევრის მეუღლე, მისი არასრულწლოვანი  
შვილი და გერი, აგრეთვე რეეგირთან მუდმი-  
ვად მცხოვრები პირი;
- ე) ახლო ნათესავი - რეეგირის ან ქურდული  
სამყაროს წევრის ოჯახის წევრი, პირდაპირი  
ალმავალი და დალმავალი შტოს ნათესავი, და და  
ძმა, აგრეთვე მშობლისა და შვილის გერიები, მეუ-  
ღლის და, ძმა და მშობელი;

- 3) რეკეტირთან ან ქურდული სამყაროს წევრთან  
დაკავშირებული პირი - პირი, რომელსაც იური-  
დიული დოკუმენტაციის საფუძველზე საკუთრე-  
ბაში აქვს ქონება და არსებობს საკმარისი მტკი-  
ცებულებები, რომ იგი მიღებულია რეკეტის შედე-  
ვალ ან სხვა არაკანონიური მათი და ამ ქონებით  
სარგებლობს რეკეტირი ან ქურდული სამყაროს  
წევრი.
- 4) რეკეტიული ქონება - რეკეტიდან მიღებული ქო-  
ნება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რე-  
კეტიდან მიღებული შემოსავალით შეძენილი  
ქონება, აგრეთვე რეკეტული დაგუფების, რეკე-  
ტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათ-  
ესავის ან დაკავშირებული პირის შემოსავალი,  
ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი,  
რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღ-  
ების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცე-  
ბულება არ არსებობს.
- 5) ნინამდებარე მუხლი ეხება რეკეტული ან ქურ-  
დული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევასა  
და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავ-  
შირებულ ნარმოების თავში მოცემულ ტერმი-  
ნთა განმარტებას.

პირველყოვლისა ყანონმდებლის მიერ, განმარტე-  
ბულია რეკეტის, როგორც სამართლებრივი დეფი-  
ნიციის მნიშვნელობა.

რეკეტად მიჩნეულია: სისტემატური, არაერთჯერ-  
ადი და ორგანიზებული შემოსავლისა თუ სხვა ქო-  
ნებრივი სარგებლის მიღება.

ანუ რეკეტისათვის დამახასიათებელია 3 ძირითადი  
ნიშანი შემოსავლისა თუ სხვა ქონებრივი სარგებ-  
ლის მიღებისა - სისტემატურობა, არაერთჯერი-  
ცობა და ორგანიზებულობა.

აღნიშნული მუხლის დეფინიცია საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ: ერთ-ერთი ნიშანის არქონის შემთხვევაშვ კი ჩვენ სახეზე არ გვექნება რეკეტი.

რეკეტის განსაზღვრილან გამომდინარე იგი უშუალოდ დაკავშირებულია განზრახ დანაშაულის ჩადენასთან, რომელიც 5 კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ მაინც უნდა იყოს განხორციელებული იმ მიმართებით, რომ ნასამართლობა არ უნდა გაქართყლებული ან მოხსნილი ამასთანავე, აღნიშნული დანაშაულის ჩადენისას არ უნდა შედიოდეს რეკეტირის დაპატიმრება და სასჯელის მოხდის ვადა.

რეკეტულ დაჯგუფებაში კანონმდებელი მოიაზრებს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ნებისმიერ გაერთიანებას, რომელთა საქმიანობაც რეკეტთანაა დაკავშირებული.

რეკეტირად ითვლება პირი, რომელიც რეკეტული დაჯგუფების საქმიანობას წარმართავს ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად. ამასთანავე, აუცილებელია რომ მას გააზრებული ჰქონდეს რეკეტული დაჯგუფების წარმართვა ან მასში სხვა-გვარი საქმიანობის განხორციელება. იგი ამასთანავე წინასწარი შეცნობით გააზრებულად უნდა წყვეტდეს ან მონაწილეობდეს რეკეტულ დაჯგუფებებს ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირს შორის წამოჭრილი დავების გადაწყვეტაში.

რეკეტირის ან ქერილული სამყაროს ოჯახის წევრად ითვ-ლება:

- **მეუღლე**
- **არასრულწლოვანი შვილი და გერი**
- **მასთან მუდმივად მცხოვრები პირი**

რეკეტირის ან ქურდული სამყაროს ახლო ნათესა-  
ვად ითვლება:

- **რეკეტირის ან ქურდული სამყაროს ოჯახის წე-  
ვრი**
- **პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი ძეოს  
ნათესავი**
- **დაძმა**
- **მშობლები**
- **მეულლე**
- **მშობლისა და შვილის გერები**

რეკეტთან ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავ-  
შირებულ პირად ითვლება ის პირი, რომელსაც  
საყეთ-რებაში აქვს რეკეტის შედეგად მიღებული  
ქონება და ამ ქონებით სარგებლობს რეკეტირი ან  
ქურდული სამყაროს წევრი. ყოველივე აღნიშნუ-  
ლის შესახებ უნდა არსებობდეს საკმარისი მტკიცე-  
ბულებები, რომელიც სასამართლო განხილვისას  
იქნება წარმოდგენილი.

რეკეტულ ან ქურდული სამყაროს ქონებად  
ითლება:

- **რეკეტირან ან ქურდობილან მიღებული ქო-  
ნება;**
- **რეკეტული ან ქურდული სამყაროს ქონები-  
ლან მიღებული შემოსავალი;**
- **რეკეტული ქონებირან მიღებული შემოსავა-  
ლით შეძენილი ქონება;**
- **რეკეტული დაჯეფების, რეკეტირის, რეკეტი-  
რის ოჯახის წევრის, ქურდული სამყაროს  
წევრის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათე-  
სავის ან მასთან დაკავშირებული პირის  
შემოსავალი, ქონება ან ქონებირან მიღე-  
ბული შემოსავალი, რომლის მართლზომ-**

იერი წარმოშობის დამატასტურებელი მტკი-  
ცებულებები არ არსებობს.

მუხლი 35<sup>8</sup>. სარჩელის აღძრია რეკეტული ან  
ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთ-  
მევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემის თაო-  
ბაზე.

1. რეკეტული ან ქურდული სამყაროს ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადა-  
ცემის თაობაზე სარჩელის აღძრის უფლება აქვს პროექტორის რეკეტირის მიმართ სასა-  
მართლო განაჩენის კანონიერ ძალაში შესვ-  
ლიდან 30 დღის ვადაში.
2. რეკეტული ქონების ჩამორთმევისა და სახელ-  
მწიფოსათვის გადაცემის თაობაზე სარჩელი  
შესაძლებელია აღიძრას რეკეტული დაჯგუ-  
ფების, რეკეტირის, მისი ოჯახის წევრის,  
ახლო ნათესავის ან დაყავშირებული პირის  
მიმართ.
3. რეკეტული ან ქურდული სამყაროს ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცე-  
მასთან დაყავშირებული წარმოებისას სარჩე-  
ლის აღძრის უფლება აქვს რეკეტირის მიმა-  
რთ პროექტორის სასამართლო განაჩენის  
კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის  
ვადაში.

პროექტორის მონაწილეობა სამოქალაქო საქმის  
განხილვაში და მითუმებეს, მისთვის სარჩელის  
აღძრის მინიჭების უფლება ქვეყნის ახალი  
სამოქალაქო საპრიოცესო კოდექსით გათვალისწი-  
ნებულ ყველა თავისაგან გამოარჩევს XIV<sup>9</sup> თავს,  
მაგრამ აյ, როგორც შესავალში ავლნიშნეთ, გასა-  
თვალისწინებელია თვით რეკეტირისა, რეკეტული  
ან ქურდული სამყაროს დაჯგუფების მიერ რე-

კიბული ქონების მოპოვების ანტისამართლებრივი  
და ანტისახელმწიფობრივი გზები.

აღნიშნულ შემთხვევებში პროეურონი სარჩელს  
აღძრავს არა მხოლოდ რეკეტირის, არამედ:

- რეკეტული დაჯუფების;
- ქურდული სამყაროს;
- რეკეტირის ან ქურდული სამყაროს ოჯახის  
წევრის;
- რეკეტირის ან ქურდული სამყაროს ახლო  
ნათესავის;
- რეკეტთან ან ქურდული სამყაროს დაკავში-  
რებული პირის მიმართ იმ ქონების ჩამო-  
რთმევაზე, რაც მიღებულია;
- რეკეტული ან ქურდული გზით;
- რეკეტული ან ქურდული სამყაროს ქონები-  
დან მიღებული შემოსავალით;
- რეკეტული ან ქურდული სამყაროს ქონები-  
დან მიღებული შემოსავალით შეძენილი  
ქონებით;
- იმ ქონებით, რომლის მართლზომიერი  
ნარმო-შობის დამადასტურებელი მტკიცებუ-  
ლება არ არსებობს.

მუხლი 356<sup>3</sup>. ქონების ცნობა რეკეტულად ან ქურ-  
დული სამყაროს წევრის ქონების უკანონოდ და  
დაუსაბუთებლად ცნობა.

1. მოსამართლე რეკეტული დაჯუფების, რეკეტი-  
რის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან  
დაკავშირებული პირის ქონებას ცნობს რეკე-  
ტულად, თუ საქმის ნარმოების პროცესში სათა-  
ნადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე  
გაირკვა, რომ ქონება მიღებულია რეკეტიდან,

- იგი წარმოადგენს შემოსავალს რეკეტით მიღებული ქონებითან, იგი შეძენილია რეკეტით მიღებული შემოსავალით ან არ არსებობს რეკეტული დაჯუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტთან დაკავშირებული პირის ქონების მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამატასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება.
2. მოსამარჩელე ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები მოპასუხის ქონების რეკეტულობის თაობაზე.
  3. მოსამართლე ქურდული სამყაროს წევრის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის ქონებას ცნობს უკანონოდ ან დაუსაბუთებლად, თუ არ არსებობს ქურდული სამყაროს წევრის მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის ქონების მართლზომიერი საშვალებებით მიღების დამატასტურებელი საბუთით ან სხვა მტკიცებულება.
  4. მოპასუხე ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ.

ალნიშნული მუხლით:

- რეკეტული დაჯუფების ან ქურდული სამყაროს;
- რეკეტირის ან ქურდული სამყაროს წევრის;
- რეკეტირის ან ქურდული სამყაროს ოჯახის წევრის;
- რეკეტირის ან ქურდული სამყაროს ახლო ნათესავის;
- რეკეტთან ან ქურდული სამყაროსთან დაკავშირებული პირის

ქონებას მოსამართლე, –  
საქმის წარმოების პროცესში;  
სათანადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძვე-  
ლზე ცნობს რეკეტულად ან და ქურდულად, თუ  
გაირკვა, რომ ქონება მიღებულია:

- რეკეტიდან ან ქურდული სამყაროდან;
- რეკეტული ან ქურდული სამყაროს ქონები-  
დან მიღებული შემოსავალი;
- რეკეტული ან ქურდული სამყაროს ქონე-  
ბიდან მიღებული შემოსავალით შეძენილი  
ქონება;
- რეკეტული დაჯუფების, ქურდული სამყა-  
როს, რეკეტირის ან ქურდული სამყაროს,  
რეკეტირის ან ქურდული სამყაროს ოჯახის  
წევრის, ახლო ნათესავის ან მასთან დაკავში-  
რებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონე-  
ბიდან მიღებული შემოსავალი, რომლის  
მართლზომიერი წარმომობის დამადასტუ-  
რებელი მტკიცებულებები არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ მოსარჩეულეს კანონი პირდა-  
პირ ავალდებულებს, რომ მან მოპასუხის ქონების  
საფუძველზე სასამართლოს წარულგინოს მტკიცე-  
ბულებები.

#### მუხლი 356<sup>4</sup>. ქონების დაყადალება

თუ არსებობს მონაცემები, რომ რეკეტული დაჯუ-  
ფების, რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის  
მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავში-  
რებული პირის მფლობელობაში არსებულ ქონე-  
ბას გადამალავენ ან დახარჯავენ ანდა სხვაგვარად  
გაასხვისებენ, პროკურორი ვალდებულია განცხადე-  
ბით მიმართოს სასამართლოს ქონების, მათ შო-  
რის, საბანკო ანგარიშების დაყადალების თაობაზე.

ამ მუხლის შესაბამისად პროექტორი ვალდებულია  
სასამართლოს მიმართოს:

- ქონების;
- საბანკო ანგარიშების
- დაყადაღებაზე თუ არსებობს მონაცემები, რომ:
- რეკეტული დაჯეფების;
- რეკეტირის;
- ქურდული სამყაროს წევრის;
- რეკეტირის ან ქურდული სამყაროს ოჯახის წევ-  
რის;
- რეკეტირის ან ქურდული სამყაროს ახლო ნათე-  
სავის;
- რეკეტთან ან ქურდული სამყაროსთან დაკავში-  
რებული პირის

მთლიანებულობაში არსებულ ქონებას გადამა-  
ლავენ, დახარჯავენ ან გაასხვისებენ.

*35<sup>6</sup> ქონების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად  
ცნობის იურიდიული შედეგები*

1. თუ სასამართლომ ამ თავის 356<sup>3</sup> მუხლის შესა-  
ბამისად რეკეტული დაჯეფების, რეკეტირის,  
ქურდული სამყაროს მაში ოჯახის წევრის, ახლო  
ნათესავის ან დაკავშირებული პირის ქონება ცნო  
რეკეტულად, ასეთი ქონება მესამე პირის კანო-  
ნიერი ინტერესების დაუმაყოფილების შემდეგ  
გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო  
კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლე-  
ბლობის შემთხვევაში - სახელმწიფოს.
2. თუ ქონების რეკეტულობა უკანონობა ან დაუსა-  
ბუთებლობა ნაწილობრივ დასტურდება, კანო-  
ნიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუ-  
თრე დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში

სახელმწიფოს გადაეცემა მოპასუხის ქონების ის ნაწილი, რომლის არარეეტულობას მოპასუხე სასამართლო წესით ვერ დაადასტურებს.

3. თუ შეუძლებელია რეკეტული, უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების პირვანდელი მდგომარეობით - კანონიერი მესაკუთრის ან სახელმწიფოსათვის დაბრუნება, მოპასუხეს დაეკისრება ამ ქონების ექვივალენტური ფულადი თანხის გადახდა.
4. სასამართლოს გადაწყვეტილება რეკეტული, უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების კანონიერი მესაკუთრის ან სახელმწიფოსათვის გადაცემის თაობაზე აღსრულდება "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

ამ მუხლის ანალიზიდან გამომდინარეობს:  
სასამართლო

- რეკეტული დაჯუფების;
- რეკეტირის;
- ქურდული სამყაროს წევრის;
- რეკეტირის ან ქურდული სამყაროს ოჯახის წევრის;
- რეკეტირის ან ქურდული სამყაროს ახლო ნათესავის;
- რეკეტთან ან ქურდული სამყაროსთან დაკავშირებული პირის

ქონებას თუ ცნობს რეკეტულად იგი გადაეცემა

- კანონიერ მესაკუთრეს;
- სახელმწიფოს, თუ შეუძლებელია კანონიერი მესაკუთრის დადგენა

## **მას შემდეგ, რაც დაკმაყოფილდება მესამე პირის კანონიერი ინტერესები.**

აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილით სახელმწიფოს გადაცემა მოპასუხის ქონების ის ნაწილი, რომლის არარეალულობას სასამართლო წესით ვერ დაადასტუ-რებს მოპასუხე. ამასთანავე, ეს ეხება მთელი ქონებიდან ქონების იმ ნაწილს, რომლის ნაწილობრივ რეალულობაც დასტურდება.

ერთი შეხედვით იმ შემთხვევაში ჩვენ და არა მხოლოდ ჩვენ ზოგადად კონტინენტურ - ევროპულ სამართალთან მიმართებაში ქართული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისათვის უცხო სამართლებრივ ინსტიტუტთან გვაქვს საქმე, იმ თვალსაზრისით, რომ მტკიცების ტვირთის გადატანა ხდება მოპასუხეზე, ნაცვლად მისი თანაბარზომიერი განაწილებისა მხარეებს შორის.

თუმცა, ამასთანავე უნდა ავლნიშნოთ, რომ  $356^3$  მუხლის || ნაწილით მოსარჩევე ვალდებულია მოპასუხის ქონების რეალულობის თაობაზე სასამართლოში წარმოადგინოს მტკიცებულებები.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია განვაცხადოთ: მტკიცების ტვირთის არატრადიციულ, არაკლასიურ ფორმასთან გვაქვს საქმე, იგი წარმოგვიდგება ე.წ შერეული სახით, რაც, როგორც ავლნიშნეთ, იტალიერი კანონმდებლობისათვისაა დამახასიათებელი.

ამ მუხლის მესამე ნაწილით მოპასუხე ქონების ექვივალენტურ ფულად თანხას გადაიხდის, თუ რეალული ქონების პირვანდელი მფგომარეობით სახელმწიფოსთვის დაბრუნება შეუძლებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლის მეოთხე ნაწილით სასამართლოს გადაწყვეტილება:

- კანონიერი მესაკუთრისითვის;
- სახელმწიფოსთვის

რეკეტული ქონების გადაცემის თაობაზე აღსრულება საქართველოს კანონით “სალსრულებო წარმოებათა შესახებ” ნორმათა დაცვით მოხდება.

### **მუხლი 35<sup>მ</sup>. დაუსწრებელი გადაწყვეტილება**

1. რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორჩევის თაობაზე წარმოებული საქმეების განხილვისას, როდესაც რეკეტირის, ქურდული სამყაროს წევრის, მათი ოჯახის წევრის ახლო ნათესავის ან რეკეტთან ან ქურდული სამყაროს წევრთან დაკავშირებული პირის მიმართ გამოცხადდა ძებნა, არ გამოიყენება ამ კოდექსის 233-ე მუხლის პირველი ნაწილის “გ” ქვეპუნქტი.
2. მხარეს, რომელიც არ გამოცხადდა სასამართლოში, ეგზავნება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში.
3. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გამოიყენება სასამართლო უწყების მხარისათვის ჩაბარების (შეტყობინების) ამ კოდექსის VIII თავით დადგენილი წესი.”

აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორჩევის თაობაზე წარმოებული საქმეების განხილვისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ არ ეცნობა.

- რეკეტირს;
- ქურთული სამყაროს წევრის;
- რეკეტირის ან ქურთული სამყაროს ოჯახის წევრს;
- რეკეტირის ან ქურთული სამყაროს ახლო ნათესავს;
- რეკეტთან ან ქურთული სამყაროსთან დაკავ-შირებულ პირს.

რამდენადაც, მათ შესახებ გამოცხადებულია ძებნა. ამ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი მისი გამოტანილან 5 დღის ვადა-მი გადაეგზავნება იმ მხარეს /მისი ბოლო საცხივრებელი ადგილის მიხედვით/, რომელიც არ გამოცხადდა სასამა-რთლოში.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, რომ დავასუვნათ: აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას მოქმედებს ყველა ის წესი რაც განსაზღვრულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავით, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით დაშვებული გამონაკლისისა.

ამ მუხლის მეორე ნაწილიში ხაზგასმულია კანონმდებლის პოზიცია, რომ რეკეტული ან ქურთული სამყაროს ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსათვის გადაცემასთან დაკავშირებული წარმოებისას მხარეთათვის სასამა-რთლო შეტყობინებისა და დაბარების წესი იგივეა, რაც დამახასიათებელია სამოქალაქო პროცესში წარმოებათა სხვა სახეებისათვის ანუ ზოგადად იგი მოქმედებს, ისე როგორც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდე-ქსის 70-78 მუხლებით.

დიზაინერი დაგით მეფარიშვილი  
ტექნიკური რედაქტორი არჩილ გობალევიშვილი

Designer David Meparishvili  
Technical editor Archil Kopaleishvili

ტირაჟი 500 ც.  
Edition 500 .

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი  
საქართველო, თბილისი 0160, ჯანთ ბაგრატიონის 6.

ტელ: (995 32) 385 849, 384 406

ფაქსი: (995 32) 252 981

E-mail: [gr\\_uni@posta.ge](mailto:gr_uni@posta.ge)

Grigol Robakidze University  
6, Jano Bagrationi Street  
Tbilisi 0160, Georgia  
Tel.: (995 32) 385 849, 384 406  
Fax: (995 32) 252 981  
E-mail: [gr\\_uni@posta.ge](mailto:gr_uni@posta.ge)